



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ–
ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით

N1/42, 14.07.2020 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე მეთოდოლოგია არეგულირებს სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“) დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაციის კვლევის მეთოდებს და ძირითად წესებს.

მუხლი 1. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ელექტრონული ბაზების წარმოების წესი

1. კოლეჯის კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზების ფორმირებასა და წარმოებაზე პასუხისმგებელი პირია სასაწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.
2. კოლეჯის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზები უნდა განახლდეს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ.

მუხლი 2. ინფორმაციის კვლევის წესი

1. ელექტრონულ ბაზებში ინფორმაციის განახლების მიზნით სასაწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ბაზებზე პასუხისმგებელი პასუხისმგებელი პირი, სასაწავლო პროცესის დაწყების შემდეგ პირადად ხვდება პროფესიულ სტუდენტებს და წინასწარ აწვდის მათ ინფორმაციას სტუდენტთა გამოკითხვის შესახებ, ასევე აცნობს მომავალ კურსდამთავრებულებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შესახებ მოკლე ინფორმაციას. კვლევის აუდიტორია იღებს დეტალურ ინფორმაციას კვლევის მიზნის, მკვლევარის პასუხების კონფიდენციალობისა და ანონიმურობის შესახებ.
2. მენეჯერი და ელექტრონულ ბაზებზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს უკავშირდებიან პირადად, სატელეფონო ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

3. კოლეჯის სტუდენტთა გამოკითხვის ჩასატარებლად დგება დახურული ტიპის კითხვარები, რომელიც შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) აცნობენ თუ არა მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოდულის და სასწავლო კურსის (საგნობრივი პროგრამების შემთხვევაში) მიზნებს, ამოცანებს და ცოდნის შეფასების სისტემას?

ბ) ეხმარება თუ არა ერთმანეთს ლექცია და პრაქტიკული მუშაობა?

გ) არის თუ არა ორიენტირებული სასწავლო მასალა სტუდენტთა მომავალ პროფესიულ საქმიანობაზე?

4. კოლეჯის კურსდამთავრებულისგან ხდება შემდეგი ინფორმაციის მიღება და დამუშავება:

ა) რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა;

ბ) არის თუ არა დასაქმებული და, დადებით შემთხვევაში, დასაქმებულია საჯარო, თუ კერძო სექტორში;

გ) მუშაობს თუ არა კურსდამთავრებული იმ სპეციალობით, რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზეც სწავლობდა კოლეჯში.

5. კოლეჯის დამსაქმებლებისგან ხდება შემდეგი ინფორმაციის გამოთხოვა:

ა) პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ სამუსიკო კოლეჯის კურსდამთავრებულთა პერსპექტივა პროფესიულ საქმიანობაში

ბ) საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ეძებენ პროფესიული განათლების დონის კვალიფიციურ პერსონალს დასაქმების მიზნით

გ) სამომავლო განზრახვები სამუსიკო კოლეჯის კურსდამთავრებულების მიმართ

6. გამოკითხვის დასრულების შემდეგ ხდება მიღებული ინფორმაციის მიმოხილვა და ანალიზი, რომლის შედეგადაც უნდა დაისახოს გამოვლენილი პრობლემების შესაძლო დაძლევის გზები.